

გადავადებული გადასახადები...

გადაუდებელი გასაჭირი, თუ თავსმოხვეული პრობლემა



ნური აჰმეტოვა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი

თვალსაზრისი

თვენი - 2010

საქართველოში (ისევე, როგორც რამდენიმე სხვა ქვეყანაში) ცალკეული სამეწარმეო სუბიექტები საგადასახადო მიზნებისთვის შემოსავლებსა და ხარჯებს აღრიცხავენ ფასს-ის მოთხოვნებისგან განსხვავებულად. პრაქტიკაში დამკვიდრდა ცნება - **გადავადებული გადასახადები**, გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (აქტივები). ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი და გასაგები ამ ეკონომიკური კატეგორიების მიღმა იმალება ძალიან რთულად აღსაქმელი არსი, კიდევ უფრო რთულად გასაანგარიშებელი და აღსაღრიცხი ოპერაციები. ფაქტობრივად, სამეწარმეო სუბიექტებს უხდებათ ცალ-ცალკე საგადასახადო და ფინანსური

ბუღალტერიის წარმართვა. აქედან, პირველი ადმინისტრაციულ კონტროლს ექვემდებარება და შესაბამისად, გამოვლენილ დარღვევანაქლოვანებებზე მჯავრია პასუხისმგებლობაც (ჯარიმები, სანქციები, საურავები). მეორე კი - ფასს-ზე დაფუძნებული ფინანსური ანგარიშგება, ჰაერით სჭირდება პარტნიორებს, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, მომწოდებლებს, კრედიტორებს და ა.შ. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად, ორივე სახის აღრიცხვა სავალდებულოა, სჭირდება სათანადო კვალიფიკაცია, ადამიანური და დამატებითი მატერიალური რესურსი.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ეს არის დასაბეგრი დროებითი სხვაობით გამოწვეული, მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხა;

გადავადებული საგადასახადო აქტივები არის მოგებიდან გადასახადების თანხა, რომელიც უნდა აღდგეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში;

ა) გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან გამომდინარე;

ბ) გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანის გამო;

გ) გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის მომავალ პერიოდში გადატანასთან დაკავშირებით.

დროებით სხვაობას უწოდებენ ბალანსში წარდგენილი აქტივის, ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მის საგადასახადო ბაზას შორის განსხვავების თანხას.

დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება იყოს ორნაირი:

ა) **დასაბეგრი დროებითი სხვაობა**, რომელიც უნდა დაემატოს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხას, როდესაც აქტივის, ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ამოღება, ან დაფარვა მოხდება;

ბ) **გამოსაქვითი დროებითი სხვაობა**, რომელიც მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში უნდა გამოიქვითოს საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხიდან, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ამოღება, ან დაფარვა მოხდება.

სააღრიცხვო მოგება არის საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების, ან ზარალის თანხა საგადასახადო ხარჯის გამოკვითვამდე;

საგადასახადო (დასაბეგრი) მოგება (საგადასახადო ზარალი) არის შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრული საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი), რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადის გადახდა (დაბრუნება);

საგადასახადო ხარჯი (საგადასახადო შემოსავალი) არის საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების, ან ზარალის განსაზღვრისას გამოყენებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადების მთლიანი თანხა;

მიმდინარე გადასახადი არის საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო მოგებიდან (საგადასახადო ზარალიდან) გადასახდელი (დასაბრუნებელი) მოგებიდან გადასახადის თანხა;

აქტივის, ან ვალდებულების საგადასახადო ბაზას უწოდებენ იმ თანხას, რომელიც გამოიყენე-

ბა მოცემული აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო მიზნებისათვის.

განმარტებების ასეთი საფეხურებიანი თანმიმდევრობა დაგეჟირდა იმისთვის, რომ გავიგოთ და ერთად ჩამოვყალიბდეთ განსახილველ საკითხზე, რომელიც ნებისმიერი სამენარმო სუბიექტისთვის, მართლაც, მწვავე პრობლემაა:

ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ან გადავადებული გადასახადები, საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას შორის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი განსხვავების არსებობაა: „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „კერძო სამართლის იურიდიული პირი (მცირე საწარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა) ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად“, რაც პირველყოფლისა, ნიშნავს ბუღალტრული აღრიცხვის ფუძემდებლური პრინციპების, მათ შორის, რეალიზაციის (და-

რიცხვის) პრინციპის სავალდებულო გამოყენებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს სამენარმო სუბიექტის მიერ შემოსავლების აღიარება-ასახვას აქტივის (საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის) მყიდველზე გადაცემის, ან მომხმარებლისთვის მომსახურების განევის მომენტში;

ამავდროულად, მოქმედი საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, სამენარმო სუბიექტი (გადასახადის **გადამხდელი**) ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშგებო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და განევა იმგვარად, რომ ცხადად აისახოს დასაბეგრი შემოსავალი (მოგება);

როგორც აქედან ჩანს, ბასისა და საგადასახადო კოდექსის მიხედვითაც შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების პრინციპები ემთხვევა ერთმანეთს – **ორივე შემთხვევაში დასაბეგრი მოგება (შემოსავალი) უნდა განისაზღვროს დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, თუმცა, საგადასახადო მიზნებისთვის დასაბეგრი შემოსავალი (მოგება) იანგარიშება როგორც სხვაობა**

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხებს შორის. ამასთან, დასაბეგრი შემოსავლების გამოსათვლელად გამოიყენება ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის განსხვავებული ნორმები; წარმომადგენლობითი, საქველმოქმედო, მივლინების, კრედიტისთვის გადახდილი, ან/და გადასახდელი საპროცენტო, რემონტის და სხვა ხარჯების გამოქვითვის მიმართ დაწესებული გარკვეული შეზღუდვები, ხოლო, ის ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, გართობის ხარჯები, საექვო ვალები, საგადასახადო ჯარიმები, სანქციები, საურავები, მოგების, ან საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან განთავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა, მიზნობრიობის მიუხედავად, საერთოდ არ ითვლება გამოსაქვით ხარჯად.

საგადასახადო პოლიტიკა ეფუძნება და ხელმძღვანელობს იმით, რომ გადასახადი არის ბიუჯეტში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადასახის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადის ცნების განმარტებიდანაც ჩანს, რომ ადმინისტრირების ინტერესები გადამხდელის ინტერესებზე უფრო მაღლა დგას და ამ მიდგომას სრულად ესადაგება დარიცხვის მეთოდი: გადასახადის გადახდის ვალდებულება გადამხდელს წარმოეშობა შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების განევის მომენტის მიუხედავად. მარკეტინგული მოსაზრებით, თუ კონკურენტულ გარემოში მომხმარებლის მოზიდვის მიზნით, ღირებულების ანაზღაურება ყოველთვის არ ემთხვევა აქტი-



ვის მიწოდების, მომსახურების გაწევის, ან სამუშაოს შესრულების დროს. დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას სამენარმეო სუბიექტზე მთლიანად გადადის ანაზღაურებასთან დაკავშირებული რისკი და ის შესაბამის გადასახადს წინასწარ იხდის მომავალში მისაღებ სარგებელზეც კი, რაც მენარმეთა ფართო წრის ინტერესს, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება.

ნებისმიერი სამენარმეო სუბიექტის ეკონომიკური საქმიანობის უმთავრესი მიზანი მოგების მიღებაა. აქედან გამომდინარეობს გაფართოებული კვლავნარმოების, ინვესტიციების მოზიდვის, ტექნოლოგიების სრულყოფის, კონკურენტიანი პროდუქციის წარმოების, ახალი მოთხოვნების ათვისებისა და დეკაყოფილების, ბიზნეს-გარემოს პრობლემათა გადაწყვეტის მოტივაცია. ამდენად, მოგების მიღების პრეზუმცია ერთდროულად ბიზნესისა და შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებას (ქვეყნის საერთო სოციალური კეთილდღეობის ამაღლებას) ემსახურება.

სამენარმეო სუბიექტისთვის მოგება მხოლოდ რეალურად მიღებული შემოსავალია და არა ის, რაც შეიძლება მომავალში ვერც მიიღოს. მენარმე მოგებას მარტივად ითვლის:

მოგება (ზარალი) =

შემოსავლები - ხარჯები

ამაში არის ლოგიკა (მიმზიდველიც და რეალურობაც), თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგადად, საგადასახადო მიზნებისთვის, დარიცხვის მეთოდის პრინციპები და გამოსაქვითი ხარჯების შეზღუდვებიც ეყრდნობა საყურადღებო არგუმენტებს. ძნელი წარმოსადგენობითი ხარჯების ოდენობა არ იყოს შეზღუდული, საწარმოს ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მიზნით დაიხარჯებოდა, ყოველშემთხვევაში, პირადი სტუმრის მიღებაც ამ ხარჯს მიენერებოდა; ან მივლინების ხარჯებში რომ არ იყოს დანესებული ნორმები – და-

სასვენებლად გამგზავრებაც ამ ხარჯს ჩამოეკიდებოდა და ა.შ.

ცხადია, არსებობს წარმოების ინტერესები და კონტროლის მექანიზმებიც, მაგრამ რეალობაში, ჩვენში დამკვიდრებული მენტალიტეტიდან გამომდინარე, გადასახადების არ გადახდის (დამალვის) მოტივაცია ხარჯების გაზრდის, მათში პირადი ან ჯგუფური ინტერესების ჩართვის მიმართულებით მუდმივად მუშაობს. ამდენად, შეზღუდვების დანესებაშიც პრაგმატული მიდგომებია ჩადებული, თუმცა, არის გაუგებარი (არაერთდგვარი) მიდგომა, მაგალითად, **სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შედეგად გადახდილი ჯარიმები, სანქციები, საურავები გამოსაქვითი ხარჯია, ხოლო გადასახადის გადაუხდელობის, დავიანების, ან უნებლიე შეცდომის გამო დაკისრებული ჯარიმები, სანქციები, საურავები კი – მხოლოდ ფინანსურ ხარჯს მიეკუთვნება.** ამ ფაქტს შეიძლება მოუძებნო (აქვს კიდევაც) ახსნა, მაგრამ ზოგადად, სახეზეა უფრო არსებითი, რაც ასეთი შეზღუდვებიდან გამომდინარეობს: ეს არის **სირთულე, ზოგჯერ - ზომაზე მეტი სიმკაცრე, ცალმხრივი (მხოლოდ ადმინისტრატორისთვის ხელსაყრელი) პირობების დომინირება, რაც გადამხდელს ტვირთად აწევს. საერთოდ, არის კი ასეთი განსხვავების არსებობა მიზანშეწონილი? რამდენად ემსახურება ასეთი დაპირისპირება ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს?**

პრობლემის სიმწვავე უფრო მეტად იგრძნობა მრავალპროფილიან სამენარმეო სუბიექტებში, განსაკუთრებით - სააქციო საზოგადოებებში, რომლებსაც აქვთ საქმიანობის ფართო სპექტრი და სამეურნეო ოპერაციათა დიდი რაოდენობა.

ზოგადად, საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას შორის განსხვავების და კონკრეტულად, გადავადებული გადასახადის გაუთვალისწინებლობა მიმდინარე

პრობლემებსაც წარმოქმნის: **ინვესტის დაბეგვრის შემდგომი მოგების დამახინჯებას და იმ ვალდებულების აუღიარებლობას, რომელიც გაბერილ მოგებაზე დაფუძნებული, ოპტიმისტური დივიდენდების გადახდას მოჰყვება** (საბოლოოდ, გადავადებული გადასახადი მაინც ვალდებულება გახდება). გარდა ამისა, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების გაუთვალისწინებლობით მოგების გაზრდა განაპირობებს საწარმოს საქმიანობის შედეგების ორი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის: ერთ აქციაზე (წილზე) შემოსავლის მაჩვენებლისა და აქციის (წილის) საბაზრო ფასი/აქციაზე (წილზე) შემოსავალთან კოეფიციენტის დამახინჯებას.

აღნიშნულის მთავარი მიზეზი ისაა, რომ გადავადებული გადასახადის აღიარება მოითხოვება დარიცხვის პრინციპით.

როგორც ჩანს, **დარიცხვის მეთოდის პრინციპები სახელმწიფოს ინტერესებთანაც თანხვედრია, რამდენადაც ეს მას შემოსავლების მიღების გარანტირებულ შესაძლებლობას უქმნის და ის, რაც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მართლაც ფუნდამენტური კონცეფციაა, საგადასახადო მიზნების რეალიზაციისას მენარმის წინააღმდეგ მუშაობს:** საგადასახადო მოგება ფაქტობრივად არ ემთხვევა (ხოლო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ის ყოველთვის აღემატება) ფასს-ზე დაყრდნობით განსაზღვრულ სააღრიცხვო მოგებას. სახელმწიფო ყველა შემთხვევაში (მცირედი დაგვიანებით, მაგრამ) შეუფერხებლად მაინც მიიღებს შემოსავლებს და გადამხდელის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობაც კი მისთვის უფრო ხელსაყრელია – ამ გზით, ადმინისტრირების მკაცრი მექანიზმის გამოყენება მისაღებ გადასახადებზე ბევრად მეტი თანხის ამოღების შესაძლებლობას უქმნის.

საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას შორის საკანონმდებ-

ლო აქტებით დადგენილი განსხვავებები შეიძლება გამოწვეულიყოს მუდმივი, ან დროებითი ფაქტორებით. მუდმივი სხვაობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახული ხარჯი არ წარმოადგენს ხარჯს საგადასახადო მიზნისთვის. დროებით სხვაობებს კი მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საწარმოს ხარჯების გამოქვითვის უფლება აქვს როგორც საგადასახადო, ისე სააღრიცხვო მიზნებისთვის, მაგრამ გამოქვითვის დროა განსხვავებული. ყოველმათგანს აქვს ახსნა, მაგალითები და შესაბამისი ბუღალტრული გატარებები. მათი განხილვა შორს წაგვიყვანს. (ისინი სახელმძღვანელოებში, ცალკეული ავტორების ნაშრომებში საკმარისად ვრცლად არის წარმოდგენილი).

ბასს-ც აღიარებს ასეთ განსხვავებას. კერძოდ, **ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები**, განსაზღვრავს მოგებიდან გადასახადების ბუღალტრული აღრიცხვის წესებს. მათში განსაკუთრებით პრინციპული საკითხად წარმოდ-

გენილია მიმდინარე და მომავალი პერიოდის საგადასახადო დაბეგვრის შედეგების ასახვა, რომელიც გამოწვეულია: საწარმოს ბალანსში აღიარებული აქტივების (ვალდებულებების) საბალანსო ღირებულების ამოღებით (გადახდით) მომავალში და საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული მიმდინარე სამეურნეო ოპერაციებითა და სხვა მოვლენებით.

როგორც ამ სტანდარტშია აღნიშნული: „**აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების პროცესში არსებითია ის, რომ ანგარიშვალდებული საწარმო ვარაუდობს აქტივების, ან ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ამოღებას, ან დაფარვას. თუ მოსალოდნელია: აქტივების, ან ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ამოღება, ან დაფარვა მომავალში გამოიწვევს გადასახადების გაზრდას (შემცირებას), იმასთან შედარებით, რომ არ ხდებოდეს აქტივებისა და ვალდებულებების ამოღება-დაფარვის დაბეგვრა, სტანდარტი**

საწარმოს ავალდებულებს აღიაროს გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (გადავადებული საგადასახადო აქტივი), გარკვეული მცირე გამოწვევის შემთხვევების გარდა.

მოცემული სტანდარტი მოითხოვს, რომ საწარმომ სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების საგადასახადო დაბეგვრის შედეგები ისევე ასახოს, როგორც თვითონ სამეურნეო ოპერაციები და სხვა მოვლენები. ამგვარად, როგორც კი რომელიმე სამეურნეო ოპერაცია, ან მოვლენა აღიარებული და ასახული იქნება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მაშინვე უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დაბეგვრის შედეგების აღიარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. იმ ოპერაციებისა და მოვლენებისთვის, რომლებიც პირდაპირ აისახება საწარმოს საკუთარ კაპიტალში, შესაბამისი საგადასახადო დაბეგვრის შედეგებიც პირდაპირ უნდა აისახოს ამავე ანგარიშზე. ანალოგიურად, გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით, გავლენას ახდენს ამ საქმიანობიდან წარმოშობილი გუდვილის თანხაზე, ან, იმ თანხაზე, რითაც მყიდველი საწარმოს წილი შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების ნეტო რეალურ ღირებულებაში აღემატება საწარმოთა გაერთიანების ღირებულებას.

ამ სტანდარტში განხილულია აგრეთვე გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის შედეგად წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარების წესები, მოგებიდან გადასახადებისა და მასთან დაკავშირებული განმარტებითი ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის საკითხები“.



სხვა სტანდარტებს შორის, ეს სტანდარტი, ისევე, როგორც გადავადებული გადასახადების არსის აღქმა, ყველაზე რთულია, თუმცა, **ბასს 12** განმარტავს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ ტერმინებს, მასში აგრეთვე დეტალურადაა აღწერილი მოგების გადასახადთან დაკავშირებული ყველა სავარაუდო მაგალითი, თუ შემთხვევა და ბუღალტრული გატარება.

სირთულეს ქმნის არა ის, რომ აქ გადმოცემული შინაარსი (განმარტებები, მაგალითები, გატარებები) გაუგებარია, არამედ, გადავადებული ვალდებულებების (აქტივების) და აქედან გამომდინარე, გადავადებული გადასახადის გამომწვევი ფაქტორებია ბევრი. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობაში დაუსრულებლად შედის ცვლილებები (იზრდება, მკაცრდება შეზღუდვები, ან თუნდაც მარტივდება სამოქმედო ნორმები), რასაც მუდმივი მიყურადება სჭირდება, მოითხოვს დროს, ენერგიას, გამოცდილებას...

ბასს 12-ის მიღება დაკავშირებული იყო ცალკეული ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვებთან და მან ფაქტობრივად ხელი შეუწყო საგადასახადო აღრიცხვის თანაარსებობას ფინანსურ აღრიცხვასთან. თავად ეს დოკუ-

მენტი და ცალკეულ ავტორთა მეცადინება მიმართულია იქითკენ, რომ აიხსნას არსებული განსხვავების არსი, კონკრეტულ ოპერაციას მოეძებნოს რაციონალური გადაწყვეტა. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებითაც საჭიროა კვლევის გაგრძელება, თუმცა ვფიქრობ, **უფრო მიზანშეწონილია საერთო ძალისხმევა წარმართოს საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას შორის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი განსხვავების აღმოფხვრისკენ**, ყოველ შემთხვევაში — განსხვავებათა დაახლოების, ან მინიმუმაციისკენ.

თუ ჩაუკვირდებით, ძირითადი შეუსაბამობა და განსხვავება მხოლოდ ცალკეული სამეურნეო ოპერაციის ხარჯად აღიარების შეზღუდვებში ვლინდება (სწორედ აქ არის პრობლემის დასაწყისი). ერთობლივი შემოსავლი კი საგადასახადო მიზნებისა და სააღრიცხვო მოგებისთვის ერთნაირად იანგარიშება. ამდენად, **მთავარი და მნიშვნელოვანია ხარჯად აღიარებაში არსებული განსხვავებების დაძლევის ამოცანის გადაწყვეტა.**

მხარეთა ინტერესები იმდენადაა პოლარიზებული, რომ ეს ამოცანა არც ისე მარტივი, თუმცა, მოგვარებადია. მით უმეტეს, მზადდება ახალი „რეგულაციური კოდექსი“, რომელიც შემომ-

ქმედთა მიერ დეკლარირებულია, როგორც **გამარტივებისკენ, გადამხდელთა ფართო წრის ინტერესების უზრუნველყოფისკენ მიმართული აქტი. ამდენად, ამ პრობლემის წამოწევა ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღების წინ, ვფიქრობ, დროულია. სწორედ ახლა, ამ აქტში უნდა შევიდეს კონცეპტუალური ცვლილებები, რომელიც მოხსნის ცალკეულ შეზღუდვებს და საგადასახადო აღრიცხვას მნიშვნელოვნად დაახლოებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან.**

საჭიროა ცალკეული ოპერაციის (შეზღუდვის) დადებითი, თუ გვერდითი მოვლენების საფუძვლიანი ანალიზი და დაპირისპირებულ პოზიციათა დაახლოებისკენ მიმართული ნების გამოხატვა. ვფიქრობ, შედარებით მარტივია **დროებითი განსხვავებების** დაძლევაში კომპრომისების მიღწევა, რამდენადაც აქდროში მცირედი დაგვიანებით წონასწორობა ისედაც ბალანსდება. ამიტომ, დაახლოების პროცესი სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. **მუდმივი განსხვავებების** წარმომქმნელი შეზღუდვები კი მეტ დაფიქრებას მოითხოვს, თუმცა, მათი შერბილება (შუალედურ ვარიანტზე შეთანხმება), აუცილებელია და აქედანვე უნდა გადაიდგას ნაბიჯები.

ANNOTATION

DEFERRED TAXES... EMERGENCY TROUBLE, OR THE PROBLEM OF FORCED

I.Papasqua,
Academic Doctor of Economic

Deferred tax liability, or deferred taxes for any business subject is the problem of forced, which is created between tax and financial registration, because of differences established by legislative acts.

For the expence recognition of individual agricultural operations limitations established by the Tax Code and deferred tax demand for the recognition of accrual method, which is fundamental concept for the preparation of financial statements, realizations tax purposes is

working against the employer: Tax request disagree (rare exceptions, its always more) with determined accounting profit referenced on IASB.

Is it expedient such existence of differences? How does such confrontation serves the development of economic perspectives?

This article represents the authors opinion about the necessity of solving the task and about the close roads of tax accounting with financial.